

## სასწავლო სემინარი, როგორც ინტერაქტიური მეთოდების ერთ-ერთი ფორმა სასწავლო პროცესში

ირმა ქურდაძე

პედაგოგიკის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

### რეზიუმე

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევების ანალიზის საფუძველზე საზოგადოებაში გამუდმებით მიმდინარეობს საუბარი სკოლაში მოსწავლეთა მომზადებისა და წიგნიერების დაბალ დონეზე და შესაბამისად, მოქმედ მასწავლებელთა დაბალ კომპეტენციებზე (ძირითადად იკვეთება მასწავლებელთა გარკვეული ნაწილის სტერეოტიპული შეხედულებები და კონსერვატულობა, განსაკუთრებით მეთოდოლოგიასთან მიმართებაში).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში ძალზედ აქტუალურია ინტერაქტიურ მეთოდებზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები. ამ მრავალფეროვანი სპექტრიდან კი გამოიყოფა-ძალზედ ნაყოფიერი და რეზულტატური, სასწავლო სემინარები, რომელიც თავის მხრივ იყოფა საგანთაშორის, პრობლემაზე ორიენტირებულ, თემატურ, სისტემურ, ორიენტაციულ სემინარად. ასეთი მიდგომები გვიჩვენებს მოსწავლეთა ინტერესს საგნისა და, საზოგადოდ, წარმოაჩენს მთელი რიგი მეთოდური რეკომენდაციების აუცილებლობას მასწავლებლებისთვის სწავლების საკითხებთან დაკავშირებით, ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლებას აქტიური კომუნიკაციისათვის და სასწავლო პროცესის წარმატების საწინდარიც ხდება.

**საკვანძო სიტყვები:** ინტერაქტიურ მეთოდები, სასწავლო სემინარი, საგანთაშორისი, პრობლემაზე ორიენტირებული, თემატური, სისტემური, ორიენტაციული სემინარი.

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევების ანალიზის საფუძველზე საზოგადოებაში გამუდმებით მიმდინარეობს საუბარი სკოლაში მოსწავლეთა მომზადებისა და წიგნიერების დაბალ დონეზე და შესაბამისად, მოქმედ მასწავლებელთა დაბალ კომპეტენციებზე (ძირითადად იკვეთება მასწავლებელთა გარკვეული ნაწილის სტერეოტიპული შეხედულებები და კონსერვატულობა, განსაკუთრებით მეთოდოლოგიასთან მიმართებაში). ამაზე გარკვეულწილად მეტყველებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2008-2012 წლებში ჩატარებული კვლევები და მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები (თუნდაც ბოლო 2013 წლის მონაცემები). **(PIRLS-ის კვლევა, 2011)** მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი კი საერთოდ არიდებს თავს სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას. მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობაში არსებული პრობლემების აღმოფხვრის აუცილებლობა კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ზოგადად განათლების დარგის განვითარებისა და კონკრეტულად პედაგოგიური ციკლის სასწავლო კურსებში სწავლების მიდგომების ახლებურ გააზრებას,

სრულყოფის საკითხს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში ძალზედ აქტუალურია ინტერაქტიურ მეთოდებზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები. ამ მრავალფეროვანი სპექტრიდან კი გამოიყოფა-ძალზედ ნაყოფიერი და რეზულტატური, სასწავლო სემინარები, (სწავლებისა და შეფასების მეთოდები, პროფესიული განათლება, თბილისი, 2008) რომელიც თავის მხრივ იყოფა -1. საგანთაშორისი სემინარად, სადაც მეცადინეობაზე გამოაქვთ თემა, რომელიც აუცილებლად უნდა განვიხილოთ სხვადასხვა ასპექტით: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, იურიდიული, ზნეობრივი და სხვ. აღნიშნულ სემინარზე შეიძლება შესაბამისი პროფესიის სპეციალისტების მოწვევა, მსმენელებს შორის ასევე გადანიჭილებულია მოხსენების თემებიც. ასეთი სემინარი იძლევა მოსწავლეთა აზროვნების გაფართოებისა და პრობლემის კომპლექსური შეფასების საშუალებას, 2. პრობლემაზე ორიენტირებული სემინარი. რომელშიც კურსის თითოეული თემის შესწავლის წინ ხდება თემის შინაარსთან დაკავშირებული პრობლემის განხილვა. შემდეგ მოსწავლეებს ავალებენ პრობლემების შერჩევასა და ახსნას. პრობლემის განხილვა ხდება სემინარზე, ჯგუფური დისკუსიის დროს. ასეთი ტიპის სემინარი საშუალებას იძლევა, განისაზღვროს მსმენელთა შესაძლებლობები ცალკეული კუთხით. ამავე დროს ის იწვევს მძაფრ ინტერესს სასწავლო კურსის აღნიშნული თემის მიმართაც. 3. თემატური სემინარი - მზადდება და ტარდება რომელიმე აქტუალურ თემაზე ან მის რომელიმე საკითხზე აქცენტირებისთვის. სემინარის დაწყების წინ მოსწავლეებს აძლევენ დავალებას - გამოყონ თემის არსებითი მხარეები, იპოვონ კავშირები პრაქტიკულ ცხოვრებასთან, საქმიანობასთან. თემატური სემინარები წარმართავს მონაწილეთა ინტერესს განსახილველი საკითხის გადაწყვეტის საშუალებათა მოძიებისკენ, 4. ორიენტაციული-ასეთ სემინარზე განხილვის საგანია ნაცნობი თემების ახალი ასპექტები, შესწავლილი პრობლემების მოგვარების გზები, გამოქვეყნებული ოფიციალური მასალები, დირექტივები. 5. სისტემური სემინარები, რაც ტარდება მთლიანად კურსის ან რომელიმე თემის პრობლემატიკის შესასწავლად (თემატიკა შეიძლება იყოს, მაგალითად, „კულტურული ღირებულებების სისტემა და ადამიანის სულიერი განვითარება“), რაც ხელს უწყობს მოსწავლეს ფართოდ გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, არ ჩაიკეტოს ვიწრო წრეში, აღმოაჩინოს მიზეზშედეგობრივი კავშირები, ყურადღებით შეისწავლოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარე.

რას იძლევა სწავლების ასეთი სტილი? ცხადია, რომ ასეთი მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესში ობიექტური რეალობის შემეცნებას, ამ პროცესში აქტიურად მიმდინარეობს ნებისმიერ საგანზე ინფორმაციის მოპოვება, შესწავლა, გაანალიზება და მონაცემების დამუშავება. ამასთან გააქტიურებულია შემოქმედებითი პროცესი, რამაც შეიძლება მოიცვას არა მარტო მოსწავლეთა ცალკეული ჯგუფები, არამედ მთლიანად, კლასიც.

ძალზედ მნიშვნელოვანია, ამ დროს პედაგოგიური სისტემის ცალკეულ ნაწილებს შორის კავშირისა და ურთიერთობის გამოვლენა; აქტიური ჩარევა პედაგოგიურ პროცესში უკვე არსებული პრაქტიკის კანონზომიერებისა და ცვლილებების აღმოჩენის მიზნით; შემეცნების მეთოდის რეალიზება, რომლის დახმარებითაც ხდება პედაგოგიური მოვლენების, ფაქტების, გამოცდილების გამოკვლევა; მასწავლებელთა

და მოსწავლეთა პედაგოგიური მოღვაწეობის ორგანიზება წინასწარ შემუშავებული თეორიული შეხედულებების ან ჰიპოთეზების შემოწმებისა და შესწავლის მიზნით;

ასევე გასათვალისწინებელია პედაგოგიური პროცესის გამოცდილების გარდაქმნის (განვითარების) უზრუნველყოფა კონკრეტული პირობების შესაბამისად; სპეციალურად ორგანიზებული დაკვირვება მიმდინარე პედაგოგიურ პროცესზე-მისი სისტემური ცვლილებების მიზნით, რომლისთვისაც, ამავე დროს, საჭიროა ინფორმაციის შეგროვება გარკვეული მონაცემების, კონკრეტული პირობებისა და სასწავლო მასალების შესახებ. წინა პლანზე გადმოდის ობიექტური, გარდაქმნა-ცვლილებაზე ორიენტირებული კომპონენტი, რაც ხელს უწყობს შედეგების გამოვლენას სხვადასხვა დონეზე.**(ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012).**

ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცოდნის სხვადასხვა ტიპით (ჰიპოთეზა, კლასიფიკაცია, კონცეფცია, პარადიგმა, მიმართულება, რეკომენდაცია, პირობები და ა.შ.) აღსანიშნავია, რომ გარდაქმნაზე, ცვლილებაზე ორიენტირებული კომპონენტი ხელს უწყობს იმ ცვლილებათა გამოვლენას, რომლებიც ხდება ობიექტურ კომპონენტთან დაკავშირებით (დამატებითი საკითხების საჭიროების კუთხით).

ამასთან, ამ კომპონენტის შედეგების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

1. შეიმუშავა თუ არა მასწავლებელმა სწავლა/აღზრდის ახალი მეთოდი;
2. განსაზღვრა თუ არა სწავლის პროცესის ეფექტურობის ამაღლების გზები;
3. გამოავლინა თუ არა თეორიული და მეთოდური პრინციპები;
4. შესთავაზა თუ არა მოდელი შემდგომი განვითარებისთვის;
5. შეამოწმა თუ არა კლასის ხელმძღვანელის მოღვაწეობის ეფექტური ფუნქციონირების მოდელი.

ძალზედ მნიშვნელოვანია ამ სქემაში მაკონკრეტებელი კომპონენტის ფუნქციაც, რადგან მისი მეშვეობით ხდება პირობების, ფაქტორებისა და იმ გარემოებების დაზუსტება, რომლებშიც მიმდინარეობს ობიექტური და გარდაქმნაზე აქცენტირებული კომპონენტები, ანუ იგი:

- აკონკრეტებს ადგილსა და დროს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს პედაგოგიური პროცესი,
- მიუთითებს სწავლისთვის, მოსწავლეთა აღზრდა-განვითარებისთვის აუცილებელ პირობებზე;
- ჩამოთვლის სასწავლო პროცესში გამოყენებულ მეთოდებს, კონტროლის საშუალებებს, პრინციპებს, მიღებულ მონაცემებს;
- აზუსტებს ამა თუ იმ პედაგოგიური ამოცანის გადაწყვეტისთვის საჭირო მიდგომებს.

მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომები ნათლად წარმოაჩენს მოსწავლეთა ინტერესს საგნის მიმართ, ამასთან, სრულად წარმოაჩენს მთელი რიგი მეთოდური რეკომენდაციების აუცილებლობას მასწავლებლებისთვის სწავლების საკითხებთან დაკავშირებით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლებას აქტიური კომუნიკაციისათვის, ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში სასწავლო პროცესის წარმატების განმსაზღვრელიც ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. PIRLS-ის კვლევა, 2011, გვ.32;
2. სწავლებისა და შეფასების მეთოდები, პროფესიული განათლება, თბილისი, 2008, გვ.45;
3. ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012, გვ.12.